საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №33

2010 წლის 26 ნოემბერი

ქ. საჩხერე

საჩხერის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შემოღებულ იქნეს საჩხერის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.

მუხლი 2

დადგინდეს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელის განაკვეთები, სათამაშო ბიზნესის ცალკეული სახეების მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

1. კაზინო (სამორინეს) თითოეულ სათამაშო მაგიდაზე – კვარტალში 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.
2. თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 2 000 (ორი ათასი) ლარი.
3. ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს თითოეულ სალაროზე – კვარტალში 5 000 (ხუთი ათასი) ლარი.
4. თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%.
5. სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშებზე – კვარტალში 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი.
6. ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 15%.
7. გარეთ განთავსებული სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული და ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე-კვარტალში 5000 (ხუთიათასი) ლარი.

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №26 – ვებგვერდი, 30.12.2011წ.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების და მოსაკრებლის ოდენობის დადგენის შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 27 თებერვლის №17 დადგენილება.

მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. აბჟანდაძე

შეტანილი ცვლილებები:

1. საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №26 – ვებგვერდი, 30.12.2011წ.